პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 93 (4603) 1972 წ. 14 მაისი, კვირა. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩოგბ...

თბილისის „დინამოს" კორტებზე დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი. ქალთა შეხვედრები: ე. ბირიუკოვა — ა. ერემეევა 6:3, 10:8, ნ. თუხარელი — მ. ჩუვირინა 6:2, 6:4. კორტზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდნენ ო. პაპაიანი და ა. ივანოვა და ამიტომ მათი შეხვედრა არ შედგარა. I ადგილი 5 ქულით მოიპოვა ბირიუკოვამ, II — თუხარელმა (4 ქულა), III — ჩუვირინამ (2). ვაჟთა შორის I ადგილისთვის მატჩში ა. მეტრეველმა სძლია თ. კაკულიას — 8:10, 6:1, 3:10, 7:5, 8:6. III ადგილისთვის ბრძოლაში ა. ვოლკოვმა დაამარცხა ვ. კოროტკოვი — 4:6, 6:6, 6:3, 6:3.

ქუთაისის „ტორპედოსა" და ხარკოვის „მეტალისტის" გუნდების მატჩისადმი მიძღვნილ წერილში აღვნიშნეთ, რომ ქუთაისელი რ. შოლაძის მიერ სტუმრების კარში გატანილი მეორე გოლი შესანიშნავი იყო ხელოვნების თვალსაზრისით.

ქუთაისელი ფოტოკორესპონდენტის შ. ჯავახაძის ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.



### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# პენალტმა უშველა

I ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:0 (1:0).

„ტორპედო": კავაზაშვილი, წვერავა, რეხვიაშვილი, ფრიდმანი, მაზიაშვილი, ოქროპირაშვილი, ლენიოვი (პეტროვი), ამბარცუმიანი (ზ. სილაგაძე), ვეკუა, ჯ. სილაგაძე, ჭოლაძე (ზადიკაშვილი).

„დინამო": რეშეტნიკოვი, ბეზბოროდოვი, ხარიტონოვი, ნაუმოვი, კოჩეტკოვი, იაკიმოვი, ხოლოვროვი (ევსეევი), იაბლოკოვი, ბელოვი, კონდრაშოვი, პოლიაკოვი (გოვორუნოვი).

მსაჯი მ. სტრენციხი (რიგა).

დუბლიორები — 2:1 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

გუნდისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგას უმიზნებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველ მატჩს, ყოველ ქულას. ყოველ შემთხვევაში, შინ ჩატარებულ მატჩებში მან მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს. თუ ასე მივუდგებით საკითხს, ქუთაისის ტორპედოელებმა 12 მაისს თავიანთი პროგრამის მხოლოდ მინიმუმი შეასრულეს — აიღეს 2 ქულა. სხვა მხრივ კი გუნდის თამაშმა ვერ დატოვა სასიამოვნო შთაბეჭდილება ვერც სანახაობრივი და ვერც სპორტული თვალსაზრისით. ხარკოვის „მეტალისტთან" კარგი თამაშის შემდეგ მასპინძლები, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ უფერულად გამოიყურებოდნენ. წინა მატჩის კომბინაციური, შემტევი, აგრესიული მოქმედების ნასახიც კი არ ჩანდა.

უპირატესობა, უდავოდ, მასპინძლებს ეკუთვნოდათ და „დინამოს" კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ტორპედოელები სწორედ გადამწყვეტ მომენტებში ცდებოდნენ და ვერ უგებდნენ ერთმანეთს. მაგალითად, მე-9 წუთზე ჯ. სილაგაძემ მარცხენა ფლანგიდან კარგად დაკიდა ბურთი კარის წინ, იქ კი არავინ აღმოჩნდა. შემდეგ ჯ. სილაგაძე — ლენიოვი — ვეკუას კომბინაცია ჩაიშალა ისევ შეუთანხმებლობის მიზეზით. 24-ე წუთზე ლენიოვმა მიიღო ზ. სილაგაძის გადაცემა და ძლიერად დაარტყა კარში. სტუმრები ძელმა იხსნა. მალე რეშეტნიკოვმა ბოლო მომენტში შეძლო ვეკუას გარღვევის ჩაფუშვა.

სახიფათო სიტუაციები იყო მეორე ტაიმშიც, შედეგი კი არც ერთ მათგანს არ მოუტანია.

მდგომარეობა იხსნა პენალტმა, რომელიც მე-13 წუთზე დანიშნა მსაჯმა ლენინგრადელთა ერთ-ერთი მცველის ხელით თამაშისთვის. 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა ჯ. სილაგაძემ.

ქუთაისელებს აკლდათ თავდასხმის წამყვანი მოთამაშე ხერხაძე. მხოლოდ მატჩის დასაწყისში ითამაშა ამბარცუმიანმა, რომელიც ტრავმის გამო გავიდა მინდვრიდან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა ტორპედოელთა თამაშში. ახლა ჩვენს გუნდს საპასუხისმგებლო მატჩები აქვს ყარაგანდასა და კუიბიშევში.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

ამ დღეს გაიმართა ტურის სხვა შეხვედრებიც: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:2, „ალგა" (ფრუნზე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:1, „პამირი" (დუშანბე) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 2:0, „ფახტაქორი" (ტაშკენტი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:3, „ზვეზდა" (პერმი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) 1:1.

# ფინალში გავიდნენ

ახალგაზრდული გუნდების ევროპულ ჩემპიონატში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. 12 მაისს დუისბურგში გაიმართა გფრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრა, რომელიც ფრედ დამთავრდა — 0:0. ვინაიდან პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3:1, ამიტომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას გადამწყვეტ ეტაპზე.

## ესპანეთს გაემგზავრნენ

გუშინ ესპანეთში დაიწყო უეფა-ს თასის ხაიუბილეო, 25-ე ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ 16-18 წლის ფეხბურთელები.

საბჭოთა ნაკრები მონაწილეობს ფინალური ტურნირის II ჯგუფში გფრ-ის, შოტლანდიისა და უნგრეთის გუნდებთან ერთად.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც არიან: მცველები ა. ჭინჭარაძე („ლოკომოტივი", თბილისი), ო. ბერულავა („მეტალურგი", რუსთავი), ნახევარმცველები ბ. ფარულავა („ტორპედო", ქუთაისი) და ი. ესებუა („დინამო", ბათუმი).

## ფეხბ...

მოსკოვში სსრ კავშირის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის განმეორებით მეოთხედფინალურ შეხვედრაში სძლია იუგოსლავიის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს — 3:0. გოლები გაიტანეს: კოლოტოვმა (53-ე წ.), ბანიშევსკიმ (74) და კოზინკევიჩმა (89). საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, აბრამოვი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, ბაიდაჩნი (კოპეიკინი), ბანიშევსკი, კონკოვი, ევრიუჟიხინი (კოზინკევიჩი).

# კონსტანცაში

მიმდინარე ოლიმპიურ წელს ძალოსნებმა მსოფლიო რეკორდების ცხრილში 38 შესწორება შეიტანეს: აჭიმვაში ნაჩვენებია 16 რეკორდი (აქედან საბჭოთა ძალოსნებს ეკუთვნით 11), ატაცში — 5 (4), აკვრაში — 10 (10), სამჭიდში — 7 (7).

ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის საინტერესო იქნება, ვინ ისახელა თავი რეკორდების დამყარებაში, მით უმეტეს, რომ ამ სპორტსმენთაგან უმრავლესობა კონსტანცაში (რუმინეთი) გუშინ დაწყებულ ევროპულ ჩემპიონატში გამოვა.

### აჭიმვა

უმჩატესი წონა: ა. გნატოვი (სსრკ) — 118 და 120 კგ (4 III, ულმი); მჩატე: რ. ბელენკოვი (სსრკ) — 128 (11 IV, ტალინი); ქვემსუბუქი: ი. ფიოლდი (უნგრეთი) — 137,5 (4 III, ულმი); მსუბუქი: მ. კუჩევი (ბულგარეთი) — 153,5 (17 II, სოფია) და 154 (10 IV, სოფია), ვ. დრექსლერი (სსრკ) — 154,5 (12 IV, ტალინი); ქვესაშუალო: ვ. კოლოდკოვი (სსრკ) — 166,5 (19 III, ბოლნესი); საშუალო: ი. კალაშნიკოვი (სსრკ) — 177,5 (13 IV, ტალინი): ქვემძიმე: პ. ბეტენბორგი (შვეცია) — 195 (20 II, პიტეა); მძიმე: ვ. იაკუბოვსკი (სსრკ) — 206,5 (26 II, რიგა), ი. ტალტსი (სსრკ) — 207,5 (15 IV, ტალინი), ი. კოზინი (სსრკ) — 208 (15 IV, ტალინი); ზემძიმე: რ. მანგი (გფრ) — 230,5 (5 III, ულმი), ვ. ალექსეევი (სსრკ) — 235,5 (19 III, ბოლნესი) — 236,5 (15 IV, ტალინი).

### ატაცი

საშუალო: ხ. რუსევი (ბულგარეთი) — 156 (9 IV, ბუდაპეშტი); ქვემძიმე: დ. რიგერტი (სსრკ) — 165,5 (14 IV, ტალინი); მძიმე: პ. პერვუშინი (სსრკ) — 171 (5 III, ულმი), 172,5 და 175 (15 IV, ტალინი).

### აკვრა

ქვემსუბუქი: ი. გოლუბცოვი (სსრკ) — 155 (4 III, ულმი), ე. ქარიმოვი (სსრკ) — 155,5 (19 III, მინსკი); საშუალო: ბ. პავლოვი (სსრკ) — 198 (12 III, ჰალმსტადი); ქვემძიმე: ვ. პენკოვსკი (სსრკ) — 208 (26 III, მოსკოვი), დ. რიგერტი (სსრკ) — 210 (14 IV, ტალინი); მძიმე: ი. ტალტსი (სსრკ) — 218 (19 III, იმატრა), პ. პერვუშინი (სსრკ) — 218,5 (15 IV, ტალინი), ი. ტალტსი (სსრკ) — 220,5 (15 IV, ტალინი); ზემძიმე: ვ. ალექსეევი (სსრკ) — 235 და 237,5 (15 IV, ტალინი).

### სამჭიდი

ქვემსუბუქი: დ. შანიძე (სსრკ) — 402,5 (12 IV, ტალინი); საშუალო: ბ. პავლოვი (სსრკ) — 512,5 (12 III, ჰალმსტადი) და 515 (13 IV, ტალინი); ქვემძიმე: დ. რიგერტი (სსრკ) — 555 (14 IV, ტალინი); მძიმე: ი. ტალტსი (სსრკ) — 587,5 (15 IV, ტალინი); ზემძიმე: ვ. ალექსეევი (სსრკ) — 642,5 და 645 (15 IV, ტალინი).

• • •

საბჭოთა გუნდი კონსტანცაში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა: ლვოველი ა. გნატოვი (უმჩატესი წონა), მინსკელი რ. ბელენკოვი (მჩატე), თბილისელი დ. შანიძე (ქვემსუბუქი), მოსკოველი მ. კირჟინოვი (მსუბუქი), მოსკოველი ვ. კურენცოვი და ალმაათელი ა. კოლოდკოვი (ქვესაშუალო), დონეცკელი ბ. პავლოვი (საშუალო), შახტელი დ. რიგერტი (ქვემძიმე), ტალინელი ი. ტალტსი და ლენინგრადელი პ. პერვუშინი (მძიმე), შახტელი ვ. ალექსეევი და დონეცკელი ს. ბატიშჩევი (ზემძიმე). წონითი კატეგორია 9 არის, სპორტსმენი კი თორმეტია. სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. მედვედევი ტაქტიკური მოსაზრებით ადგილზე შეარჩევს იმ ცხრა ძალოსანს, რომლებიც ფიცარნაგზე გამოვლენ.

# პრაღა ესალმება ნელიუბინს

12 მაისს გაიმართა მშვიდობის XXVველორბოლის VII ეტაპი: კარლოვი ვარი — პრაღა (126 კმ). ლიდერობა ხელთ იგდო ლენინგრადელმა ვ. ნელიუბინმა, რომელსაც ყვითელი მაისურის მოპოვებაში დაეხმარა ბრწყინვალე ფინიში პრაღის სტადიონზე, სადაც მან ჩამოიტოვა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ა. ბარტონიჩეკი და კუბელი რ. ვასკესი. გამარჯვებულის დრო 2:52.17 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

დანარჩენი საბჭოთა ველოსიპედისტები გორელოვი, დმიტრიევი და მოსკალიოვი ფინიშთან წინა ლიდერთან მ. მილდესთან (გდრ) ერთად მივიდნენ — 2:54.50 (მათ IX, XI და XIII ადგილები ხვდათ). II ადგილზე მყოფი სსრ კავშირის გუნდი (63:16.03) ახლა საგრძნობლად მიუახლოვდა გდრ-ის მრბოლელებს — 63:14.57. III ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 63:18.03.

როცა 66 მრბოლელმა VII ეტაპის სტარტი აიღო, მათს შესახვედრად ბოჰემიის მთებიდან ცივი, გამჭოლი ქარი დაიძრა. მიუხედავად ამისა, გორელოვი, ფრანგი ტოლე და დმიტრიევი მყისვე მოსწყდნენ ძირითად ჯგუფს და რბოლა წარმართეს. ამ თანმიმდევრობით გათამაშდა ერთადერთი სამთო საშუალედო ფინიში.

მერე ჯგუფმა ცალკე ბრძოლას ვერ გაუძლო და საერთო კოლონაც წამოეწია. მეორე საშუალედო ფინიში ბულგარელმა მარტინოვმა მოიგო. პოლონელი შურკოვსკი მეორე იყო, გორელოვი კი მესამე.

შემდეგ გორელოვმა დმიტრიევი და კუბელი მენდესი აიყოლია, რათა ძირითადი ჯგუფისთვის დაახლოებით ორი წუთით გაესწრო. დმიტრიევმა მოიგო მესამე საშუალედო ფინიში, რომლის შემდეგაც ყველაზე აქტიური მრბოლელის პოზიცია განიმტკიცა.

ნელიუბინი წინ გაიჭრა, როცა ტრასამდე დაახლოებით 40 კმ დარჩა. მას მხარს უბამდნენ ბარტონიჩეკი, ვასკესი და კიუპი (გდრ). ბოლოს და ბოლოს ლენინგრადელმა მათ მძლავრი ბიძგით გაუსწრო.

ნელიუბინის ჯამია 21:03.15, მილდესი — 21:04.39. III ადგილზეა ბარტონიჩეკი — 21:05.39.

დანარჩენ საბჭოთა ველოსიპედისტთა შედეგები ასეთია: მოსკალიოვი — VII ადგილი (21:06.58), გორელოვი — IX (21:07.09), დმიტრიევი — X (21:07.09), გუსიატნიკოვი — XV (21:07.43), ბელოუსოვი — XXV (21:16.20).

● ლაიპციგი, 12 მაისი. გდრ-ისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 557,20:550,45. პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი — 112,80 ქულა. II ადგილი დაიკავა მ. ვორონინმა — 111,70, III — ე. მიქაელიანმა (111,60). მასპინძელთა უძლიერესმა ტანმოვარჯიშეებმა მ. ბრემემ და კ. კიოსტემ შესაბამისად IV (111,35) და V (111,00) ადგილები დაიკავეს.

● კოფუ (იაპონია), 12 მაისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ამომავალი მზის ქვეყნისა და სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0 (15:11, 15:6, 15:8). ამრიგად, იაპონიაში ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან საბჭოთა ფრენბურთელებმა მხოლოდ ერთის მოგება შეძლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი სეზონის მოთამაშე

„იზვესტიაში" დიდი ინტერესით ვკითხულობ მასალებს რუბრიკით „მოზარდი მოზრდილთა შორის". ჩემთვის ეს წერილები განსაკუთრებით საგულისხმოა. ამ რამდენიმე წლის წინ ჩემი ვაჟი ვალერი დანაშაულის მონაწილე გახდა და გაასამართლეს. ალბათ მიხვდებით, რა ტრაგედია იქნებოდა ეს ჩვენთვის, მისი მშობლებისთვის! ახლა ვალერი უკვე შინაა, მუშაობს, დაცოლშვილდა კიდეც და ბიჭსაც ზრდის. მაგრამ იმ სულიერ ტკივილს რა მოაშუშებს. და მთელი ამ ხნის მანძილზე არ მასვენებს ფიქრი: როგორ მოხდა, რანაირად მოხდა, რომ ჩემი ვაჟი გამლიერებული რეჟიმის კოლონიაში აღმოჩნდა?

ხ. პ.

დედა მართალს ამბობს: იმ სულიერ ტკივილს რა მოაშუშებს. ოცდაექვსი წლის კაცი ისე იოლად ვეღარ დაიბრუნებ იმას, რაც თვრამეტი წლისამ დაკარგე. ამ ცოტა ხნის წინ ვალერიმ ისევ დაიწყო ფეხბურთის თამაში და ძალიან კარგადაც მოიქცა: თამაშმა მას ჭაბუკური ენერგია და ოპტიმიზმი უნდა დაუბრუნოს. თამაშში მუდამ არის რაღაც სამართლიანი, პატიოსნური.

ვალერი მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, როცა ფეხბურთის ნიჭი შენიშნეს. სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა რაიონულ სპორტულ სკოლაში ვაგზავნა. მშობლებს მოზარდის სპორტით გატაცება, ჩვეულებრივ, ამშვიდებს ხოლმე. ეს თითქოს ერთგვარი დამატებითი დაცვაა ავადმყოფობისგანაც, უსაქმურობისგანაც, დამღუპველი მიდრეკილებებისგანაც, ცუდი ამხანაგებისგანაც.

მალე ვალერი ქალაქის ჭაბუკთა ნაკრებში ჩარიცხეს. სპორტი თანდათან იპყრობდა ბიჭს. აზარტის გარდა, იგი მოგზაურობის სიხარულსაც იძლეოდა ძლვნად.

ვალერი რიგაშიც წაიყვანეს, ლენინგრადშიც, ოდესაშიც, ვოლგოგრადშიც... ამას გარდა, სპორტის წყალობით ვალერი თანამედროვე ცხოვრების ფერხულში გრძნობდა თავს. მშობლებისა და მასწავლებლების ხმებს შეუერთდა კიდევ ერთი აღმზრდელის — მწვრთნელის ხმაც. უცხო ქალაქში, გზაში, შეჯიბრებებზე, როცა ალქმა თამაშის დაძაბულობითაც არის გამძაფრებული, მწვრთნელი მოზარდისთვის ყველაზე ახლობელი კაცია. მისი გავლენა ამ დროს ჭეშმარიტად უსაზღვროა.

ვალერის მწვრთნელმა მშვენივრად იცოდა, რომ ბიჭები მის ხელში აღფრთოვანებით დამყოლნი იყვნენ: აღმზრდელის ერთი სიტყვა კმაროდა ყმაწვილების გულის გასატეხადაც და ფრთების შესასხმელადაც.

მაგრამ მწვრთნელს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ავტორიტეტისადმი პატივისცემასა და მომთხოვნელობას შორის პირდაპირი პროპორცია არსებობს. მოზარდმა თავის თავს შეიძლება ბევრი რამ შეუნდოს, მწვრთნელს კი არაფერს აპატიებს. მწვრთნელის ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ არამც და არამც პატარა ლაქაც კი არ უნდა დააჩნდეს. ყმაწვილის თვალი ხომ ყველაფერს ამჩნევს და იმახსოვრებს.

... სასტუმროში დამლაგებელი ქალები ჩურჩულებდნენ, ყმაწვილების მეთვალყურე უფროსები საღამოობით თვითონ წრეგადასულად მხიარულობენო. მწვრთნელმა უწყისში არარსებული მოთამაშეები ჩაწერა და ფული თვითონ ჩაიჯიბა. რაც მთავარია — ბიჭები ამასაც მალე მიხვდნენ — მწვრთნელი მიმტევებელი იყო არა მარტო თავისი თავისადმი, არამედ ყმაწვილების მიმართაც.

ოღონდ, ბიჭებს ამ ყოვლისმიმტევებლობის ბუნება არ ესმოდათ. თავი და თავი კი ესაა: მწვრთნელისთვის მათი მეგობრობა დროებითი იყო, წარმავალი. მწვრთნელისთვის ეს ნაკრები ერთი სეზონის გუნდი გახლდათ. დამთავრდება სეზონი, ითამაშებს ნაკრები სპორტული კალენდრით დაგეგმილ პირველობებში და ყველა თავის გუნდს დაუბრუნდება. ვინ იცის, რა შემადგენლობა მოიყრის თავს გაისისთვის. და რაკი ასეა, განა ღირს მომავალზე ფიქრი, ყმაწვილების ჯანმრთელობაზე, მათს მერმისზე, თუნდაც მარტო სპორტულ მერმისზე ფიქრი? მწვრთნელს ღრმად სწამდა, რომ არა ღირს.

სპორტი თამბაქოს წევას არავის აპატიებს, ვაჟა ხანი და აუცილებლად დაგსჯის — წუთში დაგღლის, სულის მობრუნებას გაგიჭირვებს. სულ ცოტა სიმავრე რომ გამოეჩინა მწვრთნელს, თუნდაც ერთხელ რომ არ დაეშვა საწვრთნელ მეცადინეობაზე, ვალერი მიატოვებდა ამ ყოყლოჩინობას, რაც ჯერ კიდევ არ გადაქცეოდა ჩვევად. მაგრამ მწვრთნელმა, სიგარეტი რომ შენიშნა, ხელი ჩაიქნია და მარტო ეს უთხრა:

— ჯანდაბას შენი თავი, მოსწიე, ოღონდ მე არ დამანახო!

მწვრთნელს არც თვითონ ადგებოდა ყელზე ნუნუა და ვერც იმას ხედავდა, ბიჭები ვახშმის ტალონებს ბუფეტში ლუდის ბოთლებზე რომ ცვლიდნენ. ხოლო როცა 17 წლის ვალერი გამოსაფხიზლებელში მოხვდა და ხელმძღვანელმა მარტო პატარა შეხურებას დააჯერა, ბიჭმა საბოლოოდ ირწმუნა, რომ მისი დასჯა საერთოდ არავის შეეძლო.

უფროსის მხრივ სიმკაცრეს ვალერი მხოლოდ მოედანზე გრძნობდა. ეს იყო უხეში, შეურაცხმყოფელი სიმკაცრე ამხანაგების თვალწინ, მაყურებლით სავსე ტრიბუნების თვალწინ. „ბიჭები ჩემგან უხმოდ ითმენენ ყველაფერს, რასაც სხვას დედამიწის ზურგზე არავის აპატიებენ", — ამაყად ამბობდა ხოლმე მწვრთნელი. ვალერი მოედანზე თავს არ ზოგავდა და მისი ოსტატობა მატულობდა. ვალერი მატჩიდან მატჩამდე იზრდებოდა საკუთარ თვალში, სანამ ამასაც საზღვარი არ დაედო.

* * *

მშობლები ხედავდნენ, რომ გამოიცვალა ბიჭი. ცვლილება იმდენად საგრძნობი იყო, მარტო ასაკით აღარ აიხსნებოდა. ვალერი თანდათან უცხოდ იქცა, რაღაც გაუგებარი, რაღაც მშობლებისთვის მიუწვდომელი ხდებოდა მის არსებაში.

დედამ სკოლას მიაშურა, მაგრამ შინ სულ დაბნეული დაბრუნდა. „ჩემი აზრით, საგანგაშო არაფერია, — უთხრა დირექტორმა. — თავაზიანი ბიჭია, კარგად სწავლობს, ორიანები არა აქვს. ხომ სწორია? ძალიან მკაცრად ექცევით. არ დაგავიწყდეთ, ვალერი სკოლის ღირსებას იცავს!".

— მწვრთნელს უნდა მოველაპარაკოთ, — გადაწყვიტა მამამ, — მოვიწვიოთ ერთ საღამოს ჩაიზე და ვისაუბროთ. კარგი იქნება ერთ ხანს გამორიცხოს ვალერი გუნდიდან. დაფიქრდეს ბიჭი, გონს მოვიდეს.

მწვრთნელი სიამოვნებით ესტუმრა ვალერის ოჯახს.

მშობლებმა შვილს ბრალდება წაუყენეს: სამებზე სწავლობს, უხეშია, დაუდევარი, არ გვეხმარებაო. იქნებ სჯობდეს ოდესაში არ წაიყვანოთ, ამჯერად შინ დარჩესო?

— როგორ თუ შინ! — გაეცეცხლა ვალერი.

— ჯერ მე ვალერის ასეთი საქციელი არ მინახავს, — მყისვე აღნიშნა მწვრთნელმა. — მაგრამ ოდესაში მაგის წამოსვლა აუცილებელია. ვალერის იშვიათი კოორდინაცია აქვს და დიდებულად ურტყამს, თანაბარი ძალით როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით წამოუსვლელობა კოლექტივის ღალატი იქნება.

კოლექტივიო? მამას ეს სიტყვა საფიცრად მიაჩნდა. კოლექტივის ღალატი როგორ შეიძლებოდა.

— საერთოდაც, — განაგრძო მწვრთნელმა, — წლევანდელი სეზონი ვალერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია; ბოლო ზაფხულს ატარებს მოსწავლეთა ნაკრებში, შემოდგომით ინსტიტუტში უნდა შევიდეს. ხომ იცით, კარგ სპორტსმენს ყოველთვის მეტი შანსი აქვს...

ახლა კი დედა შეყოყმანდა. იქნება მართლა გაუხსნას ინსტიტუტის კარი მის შვილს სპორტმა?

მწვრთნელი წავიდა და ოჯახმა ისევ სუფრასთან მოიყარა თავი.

— როგორ იქცეოდი პედაგოგის თვალწინ? — შავი დღე დააყარა ბიჭს დედამ.

— პედაგოგი! სირცხვილით დავიწვი თქვენს მაგიერ, — მიუგო გაცხარებულმა ვალერიმ. — ჩემი პატიოსანი, პრინციპული მშობლები შვილის აღზრდაზე თათბირობენ, და მერე ვისთან!

ცხელ გულზე ვალერიმ ბევრი ისეთი რამ თქვა, რაზეც მანამდე დუმილს ამჯობინებდა.

— აბა გაბედეთ და ჩემი ნათქვამი სადმე გაამხილეთ, — დასძინა მან. — იმ წუთში გუნდს დავტოვებ. არადა, საერთაშორისო შეჯიბრებაზე გაგზავნასაც დაგვპირდნენ... მოდი, დედაჩემო, ნუ გამიფუჭებ სპორტულ კარიერას. მალე სკოლას დავამთავრებ, სხვა სპორტსაზოგადოებაში გადავალ და ახალ ცხოვრებას დავიწყებ...

ვალერიმ სკოლა დაამთავრა, მაგრამ ახალი ცხოვრება ვერ დაიწყო. ძალიან იყო მიჩვეული საკუთარი თავისადმი მიმტევებლობას. სხვებისგანაც მიჩვეული გახლდათ ყველაფრის პატიებას. „ფონი", როგორც ფიზიკოსები ამბობენ, მეტისმეტად მაღალი აღმოჩნდა. საკმარისი იყო მხოლოდ ნაპერწკალი, მხოლოდ შემთხვევა მძიმე დანაშაულის ჩასადენად.

ერთ საღამოს ვალერიმ და მისმა ამხანაგმა ვლადიმერმა, როგორც სასამართლოს დასკვნაშია ნათქვამი, ტაქსი დაიჭირეს. მთვრალები იყვნენ. ვალერის დახმარებითა თუ უსიტყვო თანხმობით (კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა?!) ვლადიმერმა შოფერს დანა ჩასცა და თუმანი წაართვა. მერე ძმაბიჭებმა შოფერი ქუჩაში დააგდეს, მანქანა გაიტაცეს და დაამტვრიეს. ასე მოხვდა ვალერი ინსტიტუტის მაგიერ ბრალდებულის სკამზე...

* * *

მწვრთნელს სპორტულ დარბაზში შევხვდით, იმ დარბაზში კი არა, სადაც ვალერი ვარჯიშობდა, სხვაგან. მაგრამ იგი ახლაც ისეთივე ბიჭებში იდგა, როგორიც ვალერი იქნებოდა რვა წლის წინ. ზუსტად ისე ხტოდნენ ბავშვები ბადესთან და „ძალას იმუშავებდნენ".

— ვალერი გახსოვთ?

მწვრთნელი ერთხანს დაფიქრდა და მომიგო:

— მახსოვს. ძალიან კოორდინირებული ბიჭი იყო. მერე რაღაც ისტორიაში გაება, მგონი სასამართლოშიც მოხვდა. მეგონა, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა-მეთქი.

— მეხი გავარდაო? ესე იგი, შეშფოთების საფუძველი არ გქონდათ?

— ძალიან რთული ბუნების ბიჭი იყო. ვატყობდი, რომ მერყევი ხასიათი ჰქონდა — საითაც ხელს ჰკრავდნენ, იქით მიდიოდა. მაგრამ სპორტულ რეჟიმს არ არღვევდა.

— დედამისი ამბობს, ძალიან ადრე დაიწყო თამბაქოს წევა და სმაო...

— ხანდახან ეწეოდა... სმაო? ჩემთან არ სვამდა. თუმცა ხომ მოგეხსენებათ, ხშირად ადამიანი მოედანზე სხვაა, ცხოვრებაში სხვა. ჩემი საქმე კი მარტო მოედანია.

— თქვენ თქვით, რთული ბუნების ბიჭი იყოო. შეუძლია თუ არა სპორტს ნებისყოფის განმტკიცება? შეუძლია თუ არა სპორტულ კოლექტივს, მწვრთნელს, სპორტულ მეცადინეობას უნებისყოფო კაცი ძლიერად აქციოს?

— მეეჭვება. რამდენი მაგალითი ვიცით, რომ უმაღლესი კლასის სპორტსმენი ყოველდღიურ ცხოვრებაში არარაობაა...

საბედნიეროდ, ამ პოზიციის „გამამართლებელი" მაგალითი ცოტა გვეგულება. მაგრამ ეს ცოტაც არავის აძლევს უფლებას, რომ გაამართლოს მარტოოდენ ფეხბურთის მოედნითა და ერთი სპორტული სეზონით შემოფარგლული აღმზრდელობითი პრინციპი. პიროვნების აღზრდა მარცხენა ხელისა თუ მარჯვენა ფეხის ღირსებების, იშვიათი მოქნილობისა თუ ხტომის განსაცვიფრებელი უნარის განვითარების თვალსაზრისით შეუძლებელია. უფრო მეტიც, უზნეობაა.

მწვრთნელს სულ ადვილად შეუძლია თავისი უზარმაზარი ავტორიტეტი გამოიყენოს და იმოქმედოს მოზარდის თავმოყვარეობაზე, ჩააგონოს სპორტსმენს, რომ უნიკალური მარცხენა ხელი ლანგრით მიართმევს უზრუნველ „ტკბილ ცხოვრებას". მოზარდს ახალ ქალაქში მოგზაურობით მოხიბლავს, მის მშობლებს უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს შესაძლებელი შეღავათით, მოწიფული, ჭკუადამჯდარი სპორტსმენისთვის სხვა საკენკს მოძებნის. მაგრამ იოლი წარმატება, დიდება მოვალეობათა გარეშე, მარტო უფლებების მომტანი დიდება, ჭეშმარიტი სპორტისთვის გაცილებით უფრო უცხო უნდა იყოს, ვიდრე ადამიანის მოღვაწეობის ყველა სხვა სფეროსთვის. ტყუილად როდი ეძახიან „ჩემპიონთა მასწავლებელს" მძლეოსანთა მთელი თაობის აღმზრდელს (სწორედ აღმზრდელს!) ვიქტორ ალექსეევს. მას მიღებული აქვს მხოლოდ გამოჩენილი პედაგოგებისთვის დაწესებული ჯილდო — ნ. კრუპსკაიას სახელობის პრემია. საგულისხმოა, როცა ჰკითხეს, რა თვისება მიაჩნიათ სპორტსმენისთვის უმთავრესად, ალექსეევმა უყოყმანოდ მიუგო: — პატიოსნება.

ახლა, როცა სპორტი ტელეეკრანების დახმარებით თითქმის დამკვიდრდა ჩვენს ოჯახებში, დასახმარებლად ვუხმობთ მეცნიერებას — პედაგოგიკას, სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფიზიოლოგიას, და უკვე სერიოზულად ვფიქრობთ მისი ძლიერების ბუნებაზე, მისი გავლენის სფეროებზე, მის ადგილზე ჩვენს ცხოვრებაში და... მის ზოგჯერ აშკარად არასასურველ ეფექტებზე, რომელთა წინააღმდეგაც უნდა ვიბრძოლოთ, პროფილაქტიკური ღონისძიებები გამოვიყენოთ.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება გახლავთ იმ ადამიანთა პროფესიული დონის შემოწმება, რომელთაც ნორჩი სპორტსმენების პირველი ნაბიჯები აბარიათ. მწვრთნელის გავლენას ზოგჯერ ვერც ოჯახი აღუდგება წინ და ვერც სკოლა. ესე იგი, საზოგადოებას მით უფრო მეტი მომთხოვნელობა მართებს ამ პროფესიის ხალხის მიმართ.

... „როგორ მოხდა ეს? ვინ არის დამნაშავე?" — გვეკითხება ვალერის დედა. ჩვენ მასთან ერთად კიდევ ერთხელ გავიარეთ გადატანილი ტრაგედია, ტრაგედია საკმაოდ ღონიერი ოჯახიდან გამოსული ჭაბუკისა, რომელიც ცუდი წრის გავლენაში მოექცა... თუმცა, კმარა გავლენაზე ლაპარაკი! დღეს უკვე წლებში შესული, ბევრი გაჭირვების მნახველი ვალერი ამბობს: „ძლიერი ადამიანისთვის არავითარი გავლენა საშიში არ არის, სუსტი კი ვერ უძლებს ცთუნებას...". ქალაქის ნაკრებში ოცი ვალერის ტოლი ბიჭი მაინც ვარჯიშობდა, მაგრამ დანაშაული მათგან მხოლოდ ერთმა — ვალერიმ ჩაიდინა. თუმცა, შეიძლება იმის აღნიშვნაც საჭირო იყოს, რომ ასეთი პერსპექტიული, მაღალი კოორდინაციის მქონე და დიდებულად დამრტყმელი ოცი ბიჭიდან მხოლოდ ერთი გახდა სპორტის ოსტატი...

ნ. კოლესნიკოვა.
(„იზვესტია").

---

# პირველი შეჯიბრება ახალ სტადიონზე

სსრკ 50

თბილისელმა ხელბურთელებმა და კალათბურთელებმა შესანიშნავი საამისო საჩუქარი მიიღეს — რეკონსტრუირებული გადახურული სპორტული ბაზა კიროვის სახელობის პარკში. ძველმა ბაზამ სრულიად იცვალა სახე. ახლა კალათბურთელებსაც და ხელბურთელებსაც ნორმალური პირობები შეექმნათ ვარჯიშისა და ტურნირების ჩატარებისთვის. კომბინირებულ სტადიონს აქვს კეთილმოწყობილი სათავსოები, საშხაპეები და ახალი, თანამედროვე ტიპის ტაბლო. მართლაც ქების ღირსია თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი (თავმჯდომარე გ. შარაშიძე), რომლის მეცადინეობითაც ეს ბაზა მოეწყო.

ახალ სტადიონზე უკვე ჩატარდა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება ხელბურთში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში მეტოქეობა ვერავინ გაუწია თბილისის ნაკრებ გუნდებს, რომლებმაც ყველა მატჩი მოიგეს, 10-10 ქულა დააგროვეს და პირველობაც ღირსეულად მოიპოვეს. ქალთა გუნდმა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) სძლია თბილისის განათლების განყოფილების (18:15), ბათუმის (18:7), ქუთაისის (16:10), სოხუმის (21:4) და რუსთავის (32:6) ნაკრებ კოლექტივებს.

თბილისის განათლების განყოფილების, ბათუმისა და ქუთაისის გუნდებმა 6-6 ქულა დააგროვეს. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ განათლების განყოფილებისა (მწვრთნელი ვ. არაქელოვი) და ბათუმის (ბ. ფირცხალაიშვილი) კოლექტივებს, ამიტომ II და III საპრიზო ადგილები შესაბამისად მათ დაიკავეს. თბილისელმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ქუთაისელებთან (19:10), სოხუმელებთან (19:11), რუსთაველებთან (17:6), დამარცხდნენ ბათუმელებთან (11:12) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის ნაკრებთან. ბათუმელები, გარდა თბილისის ნაკრებისა, დამარცხდნენ ქუთაისელებთან (13:14), მაგრამ სოხუმისა (11:10) და რუსთავის (22:17) წარმომადგენლებთან გაიმარჯვეს. ქუთაისის გუნდმა მოუგო სოხუმისა (14:13) და რუსთავის (13:6) კოლექტივებს. V ადგილზე გავიდნენ სოხუმელები, VI — რუსთაველები. მათ თითო ქულა აქვთ (ამ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 14:14).

თბილისის ვაჟთა ნაკრებს (მწვრთნელი ჯ. ბაგრატიონი) მხოლოდ რუსთავის გუნდმა გაუწია მედგარი მეტოქეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, მაინც თბილისელებმა გაიმარჯვეს — 26:20. მათ იოლად აჯობეს ბათუმის (31:21), სოხუმის (31:10), ქუთაისისა (25:10) და თბილისის განათლების განყოფილების (23:15) გუნდებს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა რუსთავის გუნდმა (მ. ქავთარაძე), რომელიც მხოლოდ თბილისის ნაკრებთან დამარცხდა. დანარჩენი მატჩებიდან რუსთაველებმა 3 მოიგეს (სოხუმელებთან — 31:23, ქუთაისელებთან — 21:16, თბილისის განათლების განყოფილების გუნდთან — 19:16) და ერთი ფრედ დაამთავრეს (ბათუმელებთან — 17:17), 7 ქულა დააგროვეს და II ადგილი დაიკავეს.

ბათუმის ნაკრები (ბ. ფირცხალაიშვილი) 5 ქულით III ადგილზეა. იმ ორი მატჩის გარდა, რომელთა შედეგებზე უკვე მოგახსენეთ, ბათუმელებმა ქუთაისელებთან გაიმარჯვეს (22:15), ხოლო სოხუმისა და თბილისის განათლების განყოფილების გუნდებთან ფრედ, თანაც ერთნაირი ანგარიშით (21:21) ითამაშეს.

4 ქულით IV ადგილზე გავიდნენ სოხუმელები (გაიმარჯვეს თბილისელ მოსწავლეებთან — 23:22, ფრედ დაამთავრეს მატჩი ქუთაისელებთან — 17:17).

3 ქულით V ადგილზეა ქუთაისის ნაკრები, რომელმაც ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა დედაქალაქის მოსწავლეებთან (21:8). უკანასკნელნი 1 ქულით VI ადგილს დასჯერდნენ.

ამ შეჯიბრებამ ტურნირში მონაწილე გუნდებს დიდი სამსახური გაუწია: თბილისის სტუმრებისთვის იგი ძალის კიდევ ერთი შემოწმება იყო, ხოლო მასპინძლებისთვის, კერძოდ, თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდისთვის, მოახლოებული საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადების საუცხოო საშუალება. ასეთივე სარგებლობა მოუტანა ამ ტურნირმა თბილისელ მოსწავლეთა გუნდებსაც, რომლებსაც ახლო ხანში რესპუბლიკურ, ხოლო ცოტა მოგვიანებით საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობა უწევთ.

ჯ. ენდელაძე.

* * *



სურათზე: რუსთაველები უტევენ სოხუმელთა კარს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირის მატჩზე










ამ სურათებზე მოჭადრაკე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის რიგაში მიმდინარე მატჩის ამბებია ასახული.

ზევიდან ქვევით: მატჩის მთავარმა არბიტრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მიკენასმა საათი ჩართო და მატჩიც დაიწყო; მეტოქენი მაგიდას უსხედან და ერთიანად ბრძოლას მისცემიან; მატჩის პრეს-ცენტრში — სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი, საერთაშორისო ოსტატი ე. რუბცოვა და ცნობილი საჭადრაკო მიმომხილველი, დიდოსტატი ს. ფლორი (მარჯვნივ) პარტიის ანალიზისას; ნონა და მისი მწვრთნელი და სეკუნდანტი, დიდოსტატი ა. გიპსლისი საჭადრაკო დაფასთან არჩევენ დამთავრებული პარტიის პერიპეტიებს.

მ. ზარგარიანის (ჩვენი სპეც. კორ.) ფოტოები.

### გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის ტირაჟის ნაწილში პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „ბრწყინვალედ მოგებული პარტია" საჭადრაკო დაფის წარწერა არეულია. ზევით უნდა იყოს: **ა. კუშნირი**, ქვევით — **ნ. გაფრინდაშვილი**.

# 5,5 ქულა 6-დან

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გუშინწინ შედგა VI ტური.

VI ტური: მ. არჩვაძე (სამტრედია) — თ. გიორგაძე (თბილისი) 0:1, ა. ბალავაძე (რუსთავი) — რ. დადიანი (სოხუმი) 0:1, ზ. მიქაძე (გუდაუთა) — ა. ბუსლაევი (თბილისი) 1:0, ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — ე. მიქაელიანი (თბილისი) 0:1, დ. გედევანიშვილი — დ. ჯანოევი (ორივე — თბილისი) 0,5:0,5, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ე. უბილავა (თბილისი) 0,5:0,5, ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: პ. შაქარიანი — ნ. ჩახოიანი (ორივე — თბილისი) და ი. მანაშეროვი (ხაშური) — ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი).

მორიგი გამარჯვება იზეიმა ტურნირის ლიდერმა გიორგაძემ. შუა თამაშში არჩვაძემ პერსპექტიული პოზიცია მიიღო. გიორგაძემ კონტრთამაშის მიზნით ლაზიერის ფრთას შეუტია. თეთრებმა უსწორო გეგმა აირჩიეს და ინიციატივა თანდათან შავებს ჩააბარეს. ენდშპილში გიორგაძემ კარგად გამოიყენა უპირატესობა.

წინა ტურში წაგებამ ოდნავადაც ვერ შეანელა დადიანის საბრძოლო ჟინი. ბალავაძესთან შეხვედრაში მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი, რაც მათს აგრესიულ განწყობილებაზე მეტყველებდა. დადიანი უფრო ზუსტი გამოდგა და 25-ე სვლაზე მეტოქის მეფე დააშამათა.

მიქაძე — ბუსლაევის პარტიის შუა თამაშში, როცა პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო, თეთრებმა მეტოქეს ამაოდ შესთავაზეს ყაიმი. „გაბრაზებულმა" მიქაძემ ლამაზი ტაქტიკური დარტყმით ჯერ ერთი პაიკი მოიგო, მერე მეორეც, და გაიმარჯვა.

6 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს გიორგაძე — 5,5 ქულა. 4 ქულა აქვს დადიანს. 3,5 ქულა მოაგროვეს მიქაელიანმა, ნეურონოვმა და შაქარიანმა, ოღონდ ამ უკანასკნელმა 5-დან.

ა. გლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ა. ცეხანელი.

## მწვავე ბრძოლაში

ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გაიმართა II ტური. ბრძოლის სიმწვავეზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ როგორც პირველ, ისე მეორე ტურში პარტიების უმრავლესობა გადაიდო. II ტურში მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა: ნ. ხუჩუაურმა მოუგო ნ. ჩიქობავას (ორივე — თბილისი), ხოლო მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი) და ქ. გეგიძე (თბილისი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

# პირველი ელვისებური...

მოსკოვის ცსკა-ს ძალოსნობის დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველი საკავშირო შეჯიბრება ელვისებურ ტურნირში. მონაწილეობდა 17 დიდოსტატი. თითოეულ პარტიაში მეტოქეებს 5-5 წუთი ეძლეოდათ. შეჯიბრება ორ წრედ გაიმართა. გაიმარჯვა ოდესელმა ვ. ტუკმაკოვმა — 24 ქულა 32-დან. ამდენივე ქულა დააგროვა ლენინგრადელმა ა. კარპოვმა, მაგრამ კოეფიციენტების ცხრილით იგი II ადგილზე დარჩა.

ამავე ცხრილმა გადაწყვიტა III ადგილის ბედიც: ლენინგრადელ ვ. კორჩნოისა და მოსკოველ რ. ხოლმოვს ერთნაირი ქულები აღმოაჩნდათ, უპირატესობა ლენინგრადელის მხარეს აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნულთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ი. ბალაშოვი, დ. ბრონშტეინი, ა. გიპსლისი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. ანტოშინი, მ. ტაიმანოვი, რ. ვაგანიანი, მ. ტალი, ლ. შტეინი, ა. ლეინი, ა. ლუტიკოვი, ე. გუფელდი და ე. ვასიუკოვი.

### ამოცანა

ფ. მამულია (თბილისი)



შამათი ორ სვლაში.

## ფეხბურთი

II ლიგა ЖЕНЕ (logo)

სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 5 | 4 | 0 | 1 | 10—1 | 8 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 5 | 3 | 2 | 0 | 7—2 | 8 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 5 | 4 | 0 | 1 | 6—2 | 8 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 5 | 2 | 2 | 1 | 5—2 | 6 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 5 | 2 | 2 | 1 | 5—4 | 6 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 4 | 3 | 0 | 1 | 5—4 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 4 | 2 | 1 | 1 | 6—4 | 5 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—3 | 5 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 4 | 2 | 0 | 2 | 4—3 | 4 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 4 | 1 | 2 | 1 | 4—4 | 4 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—5 | 4 |
| „დილა" (გორი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—4 | 4 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—5 | 4 |
| „დინამო" (სოხუმი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—7 | 4 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—4 | 3 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 5 | 0 | 3 | 2 | 1—3 | 3 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—5 | 2 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2—6 | 1 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 5 | 0 | 1 | 4 | 1—10 | 1 |

## მოზარდთა ტურნირი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გან. განყ. (თბილისი) | 14 | 10 | 3 | 1 | 45—9 | 23 |
| „დინ." (სოხ.) | 14 | 10 | 2 | 2 | 31—18 | 22 |
| ახ. საფ. სკ. (თბილისი) | 13 | 9 | 3 | 1 | 32—9 | 21 |
| „განთიადი" | 13 | 9 | 3 | 1 | 23—8 | 21 |
| „დინ." (ბათ.) | 14 | 7 | 6 | 1 | 17—7 | 20 |
| „ტორპედო" | 13 | 8 | 3 | 2 | 28—9 | 19 |
| „სპორტინტ." | 14 | 6 | 5 | 3 | 18—20 | 17 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 6 | 2 | 4 | 16—10 | 14 |
| „მეტალურგი" | 13 | 4 | 5 | 4 | 16—15 | 13 |
| „ავაზა" | 14 | 5 | 3 | 6 | 18—29 | 13 |
| „დილა" | 13 | 4 | 2 | 7 | 15—20 | 10 |
| მწვრ. სკოლა | 12 | 2 | 4 | 6 | 9—24 | 8 |
| ახ. საფ. სკ. (გაგრა) | 14 | 4 | 0 | 10 | 11—29 | 8 |
| „მერცხალი" | 14 | 2 | 3 | 9 | 14—34 | 7 |
| ახ. საფ. სკ. (თელავი) | 14 | 0 | 6 | 8 | 11—27 | 6 |
| „გურია" | 14 | 2 | 1 | 11 | 10—24 | 5 |
| „კოლხეთი" | 14 | 1 | 1 | 12 | 7—29 | 3 |

# მეორე შეხვედრის წინ

სპორტული სამყარო დიდი ინტერესით ელოდა ევროპის ჩემპიონატის მეორე მეოთხედფინალურ მატჩებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა გუშინ გამართული შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის.

აი, რას წერდა „მორნინგ სტარი" (ლონდონი) ამ მატჩის წინ:

„ინგლისის ნაკრების თვრამეტკაციან განაცხადში (ეს გუნდი დასავლეთ ბერლინში განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდება გფრ-ის ნაკრებს) გუნდის ვეტერანი ჯ. ჰერსტი არ შეუყვანიათ. ჰერსტს ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში 48 მატჩი უთამაშია და 23 გოლი აქვს გატანილი, დაწყებული მისი დებიუტიდან 1965 წელს.

ინგლისელი კომენტატორები იმედს გამოთქვამენ, რომ ჰერსტის შემცვლელი, ახალგაზრდა რ. მარში ღირსეულად მიიღებს ესტაფეტას ვეტერანისგან და აღნიშნავენ, რომ ნაკრებში ჰერსტის ამდენ ხანს გაჩერება რამსეის ლმობიერებას მიეწერება.

საწყენია, რომ საერთაშორისო არენიდან ჰერსტის წასვლა დაემთხვა სწორედ იმ კრიტიკულ პერიოდს, რომელიც ახლა ინგლისის ფეხბურთს დაუდგა.

მეორე ვეტერანი, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სერ ალფ რამსეიმ ნაკრებიდან გამოთიშა, არის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კაპიტანი ალან მალერი. ამ ორი ვეტერანის ნაცვლად რამსეი ალბათ უფრო ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებს ათამაშებს.

რამსეიმ დაასახელა სამი ფეხბურთელი, რომლებმაც პირველ მატჩში ტრავმების გამო ვერ ითამაშეს. ესენი არიან რ. მაკფარლანდი, კ. ტოდი და ა. კლარკი.

მაკფარლანდმა თითქმის გაინაღდა გფრ-ის გუნდთან თამაშის უფლება, ვინაიდან ნაკრების კაპიტანი ბ. მური ჩვეულ ფორმაში ვერ არის.

„ნიუკასლ იუნაიტედის" ცენტრფორვარდმა მ. მაკდონალდმა ინგლისის ეროვნულ გუნდში ადგილი შეინარჩუნა, ისევე როგორც ახალგაზრდა პ. სტორიემ „არსენალიდან".

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ რამსეიმ სტორეი ნეცერის წინააღმდეგ უნდა დააყენოს, რაც მას პირველ თამაშშივე უნდა გაეკეთებინა.

აი, ინგლისის ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც 18 ფეხბურთელია: მეკარეები ბენქსი („სტოკ-სიტი") და შილტონი („ლეისტერ-სიტი"), მინდვრის მოთამაშეები: მედელი („ლიდს იუნაიტედი"), ჰაიესი („ლივერპული"), სტორეი („არსენალი"), ტოდი („დერბი ქაუნთი"), მაკფარლანდი („დერბი ქაუნთი"), ლოიდი („ლივერპული"), მური („ვესტ ჰემ იუნაიტედი"), ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი"), ბოლი („არსენალი"), ბელი („მანჩესტერ-სიტი"), პიტერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), ლი („მანჩესტერ-სიტი"), ჩივერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), მარში („მანჩესტერ-სიტი"), კლარკი („ლიდს იუნაიტედი"), მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი")".

## მხოლოდ 1:0

გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ნიქოზიაში ერთმანეთს შეხვდნენ კვიპროსისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები. პორტუგალიელთა შემადგენლობაში არ იყო ეუსებიო, უიმისოდ კი გუნდს ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა — 1:0. გოლი გაიტანა ჩიკომ.

## მიწისქვეშა მოგზაურთა ლაშქრობები

ირანში სპორტის ყველაზე ახალგაზრდა სახეობის — სპელეოლოგიის წარმომადგენლებმა ზაგროსის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში მიაგნეს მღვიმეს, რომელიც აზიაში ყველაზე ღრმად მიაჩნიათ. სპორტსმენები 800 მეტრზე ჩაეშვნენ, მაგრამ ფსკერს ვერ მიაღწიეს. სპელეოლოგები ვარაუდობენ, რომ მღვიმე კიდევ, სულ ცოტა, 1000 მეტრის სიღრმეზე მაინც უნდა გაგრძელდეს. თუ ეს დადასტურდა, დაკვირვება კი ამ შემოდგომიდან განახლდება, ეს მღვიმე ყველაზე ღრმა აღმოჩნდება მსოფლიოში.

დღემდე უღრმესად მიჩნეულია საფრანგეთის ქალაქ გრენობლის მახლობლად მდებარე მღვიმე. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კირქვისგან ნაგები ზაგროსის მთების სტრუქტურა იდეალურ პირობებს იძლევა ასეთი ღრმა გვირაბების შექმნისთვის.

ირანში მიწისქვეშა მოგზაურობისთვის საინტერესო ძალიან ბევრი მღვიმეა ცნობილი. მაგალითად, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შირაზსა და კაზერუნს შორის მდებარე მღვიმე. აქ, გარდა ლამაზი სტალაქტიტებისა და ტბებისა, აღმოჩენილია ხელოვნების ნიმუშებიც, კერძოდ, სასანიდების დინასტიის პირველი მეფის — შაპურის სტატუა.

ა. ახმეძიანოვი.
(საკდესის კორ.).
თეირანი.

# შეინ გოულდის „საიდუმლო" შრომაა

შეინ გოულდი სულ 15 წლისაა, მაგრამ უკვე თანამედროვეობის ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენ ქალად აღიარეს. მას ეკუთვნის ექვსივე მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში.

... მელბურნში წვიმდა. წვიმა ჩიუტად უშენდა ოლიმპიური აუზის სახურავს და, როგორც კი გზას იპოვიდა, შენობაშიც ჩადიოდა. მაყურებლები იძულებული ხდებოდნენ ზევიდან წამოსული აბეზარი ცივი ნაკადისგან თავის დასაცავად ქოლგები გაეშალათ. აქ იყვნენ ცეცხლის ფასად ღირებული შესასვლელი ბილეთების პატრონებიც. მათ მოუწოდეს ავსტრალიელ ოლიმპიელებს დახმარებოდნენ მიუნხენამდე სამგზავროდ საჭირო 60 ათასი დოლარის მოგროვებაში.

ბოლოს და ბოლოს მოვიდნენ ისინიც, ვისაც დღეს „მწვანე კონტინენტის" სპორტის სიამაყეს უძახიან. ჯინსებსა და სვიტერებში გამოწყობილი ბიჭები და გოგონები შევიდნენ შენობაში, სადაც 16 წლის წინ, მელბურნის ოლიმპიადის დღეებში, ავსტრალიელმა მოცურავეებმა სპორტის ისტორიაში ოქროს სტრიქონები ჩაწერეს. ამ საღამოს აუზში ასპარეზობდა მათი ცვლა — შეინ გოულდი, დები მორას და მიშელ ვენდენები, ძმები როჯერსები, დები კუინი. სულ 27 სპორტსმენი, უპეტესად მოსწავლეები.

მოცურავეები სტარტზე დგანან. გაისმა სასტარტო პისტოლეტის ხმა. გოგონები თითქმის უჩუმრად შევიდნენ წყალში, ერთი კი გამოჩნდნენ ზედაპირზე და ტორპედოებივით გაიჭრნენ წინ. მალე ლიდერიც დაწინაურდა — შეინ გოულდი. ნეტავ როგორ გრძნობს თავს ეს თხუთმეტი წლის გოგონა რეკორდსმენთა ბილიკზე, რაზე ფიქრობს? მახსოვს, ზუსტად ეს ვკითხე შეინს სიდნეის აუზზე. მაშინ ნორჩ მსოფლიო რეკორდსმენს შევხვდი, რათა ერთი სასიამოვნო ცნობა გადამეცა: საკდესის სპორტული რედაქციის ტრადიციულმა ანკეტამ უცხოელ მიმომხილველთა შორის შეინ გოულდი 1971 წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახელა.

— რაზე ვფიქრობ, როცა ბილიკზე ვარ? ალბათ იმაზე, როგორ გავუსწრო მეტოქეებს. გამარჯვებისკენ ჩემი ასეთი სწრაფვა სავსებით კანონზომიერია. მას წლების მანძილზე შეუპოვარი შრომა უდევს საფუძვლად. მე დიდი ხანია საპროგრამო მანქანასავით ვმუშაობ, დილის ხუთის ნახევრიდან. ჩემს ამხანაგებს ამ დროს სძინავთ, მე კი დილის სუსხით აკანკალებული აუზში შევდივარ: სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე უნდა გავიარო დილისთვის მონიშნული მანძილი წყალში. გაკვეთილების მერე ისევ აუზს ვუბრუნდები. ორსაათნახევარი დილით, ორსაათნახევარი დღისით, ასეა კვირაში ექვსჯერ, წელიწადში ორას ოთხმოცდაათ დღეს განა არ მომიპოვებია გამარჯვების უფლება?

გაზეთები შეინ გოულდს სპორტის „ზღვარსკვლავს" ეძახიან. საერთაშორისო სპორტის ისტორიაში მან პირველმა შეძლო ერთი წლის მანძილზე მოეხსნა ქალთა ყველა მსოფლიო რეკორდი თავისუფალი სტილით ცურვაში. ეს გამხდარი, ტანმორჩილი გოგონა ახლა ავსტრალიელ მოცურავე ვაჟებზე, 1960 წლის სახელგანთქმულ ოლიმპიურ ჩემპიონებზე სწრაფად ცურავს. შეინს გამუდმებით ჩაესმის თავისი მწვრთნელის სიტყვები, ჩაესმის მაშინაც კი, როცა იგი მის გვერდით არ არის: „თუ დღეს გუშინდელ მანძილს კიდევ ერთ მილს არ დაუმატებ, იცოდე, სხვა დაგასწრებს და გაჯობებს".

და მაინც, შეინის რეკორდებს სხვა რამეც უდევს საფუძვლად. ტალანტი? უსათუოდ. ამ ტალანტზე შეინს პირველად მაშინ დაუწყეს ლაპარაკი, ცხრა წლის რომ იყო და გაკვეთილების მერე ისე, გასართობად ცურავდა ოკეანეში შორეულ ფიჯის კუნძულებზე. მაგრამ გარდა ტალანტისა, მისი წარმატება სპორტისადმი დიდი სიყვარულითაც უნდა აიხსნას.

„თუ ეს სიყვარული გამინელდა, — ამბობს შეინი, — აი, მაშინ დადგება ჟამი სპორტთან ჩემი განშორებისა".

შეინის შრომა იოლი არ არის, მაგრამ მისი მშობლები კიდევ უფრო დიდ გასაჭირში არიან. მე ვესაუბრე დედამისს, პატარა, წყნარ ქალს. იგი ყოველდღე ალიონზე მიჰყავს ქალიშვილს აუზზე და მეცადინეობის დამთავრებამდე უცდის. შინ კი ათასი საქმე ელის. შინ სხვა ქალიშვილებიც ჰყავს.

— ცურვა ყველაზე ძვირად ღირებული სპორტია ავსტრალიაში, — მეუბნებოდა მელბურნის ოლიმპიურ აუზზე ცნობილი მწვრთნელი ფარბეს კარლილი, — მე ზვიდი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი გავზარდე. ამიტომ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ჩემპიონობა მეტისმეტად ძვირი ჯდება.

მართლაც, ერთი გაკვეთილი დოლარნახევარი ღირს, წელიწადში კი ასობით ასეთი მეცადინეობა უნდა ჩატარდეს. გამოანგარიშებულია, რომ ცურვაში სერიოზული წვრთნა ერთ სპორტსმენს წელიწადში ათასი დოლარი უჯდება. მწვრთნელის გასამრჯელოს გარდა, ფული იხარჯება ვიტამინებისთვის, სპეციალური საკვებისთვის, სპორტული ტანსაცმლისთვის. სხვა ქალაქებში შეჯიბრებებზე რომ მიდის, გზის ფულიც თავად მოცურავემ უნდა გადაიხადოს.

ფარბეს კარლილი შეინს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს. იგი ამბობს, რომ მიუნხენში გოულდი ოქროს ოთხ ჯილდოს დაისაკუთრებს, შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში კი კიდევ მეტ წარმატებას მოიპოვებს.

— ახლა შეინი მოზარდია, — გვიხსნის იგი ასეთ პროგნოზს, — ოცი წლის ასაკში კი სწორედ უმაღლეს ოსტატობას მიაღწევს.

კარლილს უნდა ვერწმუნოთ. იგი არა მარტო გამოცდილი მწვრთნელია, არამედ მეცნიერიც გახლავთ, განათლებით ფიზიოლოგია და დიდხანს ლექციებს კითხულობდა სიდნეის უნივერსიტეტში. მაგრამ მოგეხსენებათ, ცხოვრება ისეთია, ყველა პროგნოზი თავდაყირა შეუძლია დააყენოს. შეინმა მითხრა:

— მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ ალბათ თავს დავანებებ დიდ სპორტს. ჯერ სკოლა უნდა დავამთავრო, მერე უნივერსიტეტში ვაპირებ სწავლას. ცურვას მარტო ჩემთვის დავიტოვებ, გასართობად.

ხედავთ? შეინი დიდი სარბიელიდან წასვლას აპირებს. მასთან ერთად დატოვებს სპორტს კიდევ რამდენიმე მოცურავე. ვინღა დარჩება ავსტრალიის საცურაო ბილიკებზე? კარლილი მისახელებს ამ სპორტსმენებს. ეს გახლავთ, მაგალითად, ქალთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანი, 18 წლის კარენ მორასი, რომელიც 11 წელია ცურავს. ესაა გრეგ როჯერსი. ამერიკელებმა მას ბევრჯერ შესთავაზეს შტატების ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში თავიანთ ხარჯზე ჩარიცხვა, მაგრამ სპორტსმენმა უარი თქვა: ჩემი ქვეყნის სპორტული ღირსება უნდა დავიცვაო.

ვაკვირდებოდი მელბურნში ავსტრალიის ოლიმპიური გუნდის წევრებს და სხვა თხუთმეტი, სულ ნორჩი მოცურავე გამახსენდა. ასაკი... 12 კვირიდან 18 თვემდე. ცურვის აკადემიის დირექტორი, ქალბატონი ვან დეიკი მათ ტანსაცმლიანად ყრიდა აუზში და ბავშვები დამსწრეთა თვალწინ არხეინად ნებივრობდნენ წყალზე. ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე ვან დეიკმა კიდევ ასი ჩვილი მოცურავე მოამზადა. ყველა 15 წუთს ძლებს წყალზე. რაღა გასაკვირია, რომ მათი რეკორდები დღევანდელი ფენომენის — შეინ გოულდის მიღწევებზე უკეთესი იყოს.

ვ. ჩეხონინი.
(საკდესის კორ.).
კანბერა.



## ...დაამტკიცა კიდეც

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ავსტრალიის მოცურავეთათვის სპორტული კოსტიუმების მოდელები ნზადაა. იგი მწვანისა და ოქროსფერის ნაერთს წარმოადგენს. ახალი მოდელები (იხ სურათი) სპორტსმენებმა უკვე მოსინჯეს ავსტრალიის ზამთრის შეჯიბრებაში. ზოგიერთმა ცნობილმა მოცურავემ აზრიც გამოთქვა კოსტიუმების ავ-კარგიანობაზე. აი, რას ამბობს შეინ გოულდი: „მე მგონია, ჩვენთვის ახალი კოსტიუმები მაინცდამაინც შესაფერი არ უნდა იყოს". სამაგიეროდ, გრეჰემ უინდტმა განაცხადა: „ახალი მოდელი უფრო მომწონს, ვიდრე უკანასკნელი ოლიმპიური თამაშებისა".

აბა, გაარკვიე რაიმე და შეარჩიე!

მაგრამ თვით ახალი მოდელების ავტორებს, როგორც ამბობენ, თავისი განაღდებული აქვთ — კომპეტენტურმა კომისიამ კოსტიუმების ახალი მოდელები უკვე დადებითად შეაფასა და დაამტკიცა კიდეც.



# ოლიმპიური მოზაიკა

### ოთხჯერ მეტი კანდიდატი

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე ჩავა დაახლოებით 12 ათასი სპორტსმენი, მწვრთნელი და ოფიციალური პირი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თითქმის 6500 წარმომადგენელი. წინასწარი გამოანგარიშებით, ოლიმპიურ ასპარეზობას რამდენიმე მილიონი მაყურებელი ეყოლება. სტუმრებს 27 ათასი კაცი უნდა მოემსახუროს. ამ რიცხვში შედის ათასამდე გიდი-თარჯიმანიც, რომელთაც ორგანიზატორები 4000 პრეტენდენტ ქალს შორის აარჩევენ. თითოეულმა მათგანმა ორი-სამი ენა უნდა იცოდეს, ყველამ ერთად კი ოცდათოთხმეტი. ის, ვისაც თარჯიმნად არ მიიღებენ, ან ბილეთებს გაყიდის, ან ტელეფონისტად თუ ტელეგრაფისტად იმუშავებს, ან ოფიციანტად ოლიმპიური სოფლის რესტორნებში.

### თემიდის 1500 მსახური

ოლიმპიური პროგრამით შეჯიბრებები სპორტის 23 სახეობაში გაიმართება. ამ შეჯიბრებებს 1200 არბიტრი და მსაჯთა ჟიურის 265 წევრი მოემსახურება. მათგან 205 აუზზე იმუშავებს, 184 მსაჯი ხუთჭიდელთა ასპარეზობას ადევნებს თვალს, 141 — ცხენოსანთა ტურნირს, 119 კი კანოისტებისა და წყალზე სლალომისტების შეჯიბრებებს.

სპორტული თემიდის წარმომადგენლებს ბევრი სხვადასხვა მოწყობილობაც მოემსახურება. მაგალითად, სიგრძეზე ხტომაში შედევს სპეციალური ოპტიკური ხელსაწყო დაადგენს, მტყორცნელთა ისრის ტყორცნის შეფასებისას კი გამოიყენებენ გეოდეზიურ მეთოდს გამომთვლელი მანქანის მონაცემებთან ერთად.

### პირდაპირ და ჩანაწერით

ოლიმპიადის გახსნიდან დახურვამდე 366 საათი გავა, სატელევიზიო კამერები კი იმუშავებს... 1200 საათს. საქმე ისაა, რომ ოლიმპიელები დროდადრო ერთბაშად 33 სხვადასხვა ადგილზე იასპარეზებენ, პირდაპირი სატელევიზიო გადაცემების მოწყობა კი ყველა ბაზიდან როდია მიზანშეწონილი. ზოგჯერ უფრო გონივრულია გაკეთდეს მოკლე სატელევიზიო ფილმი ან რეპორტაჟი ჩანაწერის მიხედვით, მაგალითად, სასროლეთიდან.

ოლიმპიური სატელევიზიო ცენტრის განკარგულებაში იქნება 100-ზე მეტი სატელევიზიო კამერა, 40-60 აპარატი მაგნიტური ჩაწერისთვის, 20 ავტომანქანა ფერადი გადაცემის მოწყობილობით.

### ფეხბურთი ... ხუთგან

ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის მონაწილენი ითამაშებენ ბავარიის ხუთ სხვადასხვა ქალაქში — თვით მიუნხენში, ნიურნბერგში, აუგსბურგში, პასაუსა და რეგენსბურგში. ორგანიზატორებმა ღონეს ხერხი ამჯობინეს და გამოიგონეს... სოფელი ბორბლებზე. ფეხბურთელებს მოემსახურება საგანგებო მატარებლები ვაგონ-რესტორნით, მასაჟის კაბინეტებით, დასვენებისა და მწვრთნელთა „ოთახებით".

### სხვადასხვა გზით

ოლიმპიური ტურნირის მონაწილე ბევრი აფროსანი კილში ნავებით ჩავა. კილის ყურეში ხუთი ნავსადგურია მოწყობილი.

სხვა გზა აირჩია ასმა შვეიცარიელმა გულშემატკივარმა, რომლებიც მიუნხენამდე ჩასვლას ფეხით აპირებენ (მათ დაახლოებით 240 კმ უნდა გაიარონ). თავგადადებული შვეიცარიელები ჯილდოდ ნიილებენ ბინას შეჯიბრების ადგილის ახლოს და ბილეთებს ოლიმპიადის ყოველი მეორე დღისთვის.

### ჟანგბადი მარათონელებისთვის

მიუნხენის ქუჩებში, სადაც მარათონული რბენის მარშრუტი გადის, სტარტამდე სამი საათით ადრე მანქანების მოძრაობა შეწყდება. ეს საკმარისად მიაჩნიათ გამონაბოლქვი გაზისგან ტრასის გასაწმენდად. დისტანციის (42 კმ, 195 მ) თითქმის ნახევარი ქალაქის პარკებზე მოდის. ზოგან (მაგალითად, გვირაბებში) ჟანგბადის ბალონებსაც კი გამოიყენებენ.

მსაჯები და ტელეოპერატორები მარათონელებს გაჰყვებიან ავტომანქანით, რომელსაც ელექტრული ძრავა ექნება.

## „ხუთიანი" მრგვალ სტენდზე

მადრიდი, 12 მაისი. ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა მესტენდურეებმა მრგვალ სტენდზე სროლაში პროგრამის ყველა სახეობა მოიგეს. იუნიორთა, ქალთა და გუნდური გამარჯვებების შემდეგ პირად ჩათვლაში ვაჟებმაც წარმატებას მიაღწიეს — სამივე მედალი დაისაკუთრეს: ოქროსი — 25 წლის ფრუნზელმა ვ. ანდრეევმა (198 ქულა 200-დან), ვერცხლისა — 34 წლის მოსკოველმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. პეტროვმა (197), ბრინჯაოსი — 36 წლის სვერდლოვსკელმა, მსოფლიო ჩემპიონმა ი. ცურანოვმა (196).

ახლა ბრძოლაში ჩაებნენ ადგილიდან სროლის ოსტატები.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) — ასკ (როსტოვი)
15 მაისს
სათადარიგო შემადგენლობანი
16 მაისს
ძირითადი შემადგენლობანი
მატჩების დასაწყისი 19 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 15 მაისს, აბონემენტებზე — 14 და 15 მაისს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში, საერთო გაყიდვა — 16 მაისს 10 საათიდან.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 06395